

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2021 წლის „ მაისი, ქალაქი ბათუმი

„მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203581 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203581 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის 1.3. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. ქ. ბათუმში, ჟ. შარტავას გამზირი №22-ში არსებული 112,3 კვმ ფართის №93 და №94 საცხოვრებელი ბინების (კორპუსი „ბ“; მე-4 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.27.05.017.01.01.093 და 05.27.05.017.01.01.094) შემდეგი მრავალშვილიანი ოჯახისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე: ნესტან მამულაძე (პ/№17001001478), ბადრი საგინაძე (პ/№61009002237), დაჩი აბულაძე (პ/№61009029762), დემნა აბულაძე (პ/№61009033919), ვაჩე საგინაძე (პ/ №61950011406); ალექსანდრე საგინაძე (პ/№61150019721), ანასტასია საგინაძე (პ/ №61550032384), მართა საგინაძე (პ/№61550046589), ეფემია საგინაძე (პ/№61850059324)“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203581 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2021 წლის 19 მაისს №19/1421139365-14 განცხადებით მომართა ქ. ბათუმში კობალაძის ქ.№8, ბ. 51-ში მცხოვრებმა მრავალშვილიანმა დედამ ნესტან მამულაძემ და ითხოვა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში და საკუთრების უფლების მოწმობებში ცვლილების შეტანა და გარდაცვლილი ზაზა აბულაძის სახელობითი სიიდან ამოღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზაზა აბულაძის გარდაცვალების თაობაზე წარმოდგენილი იქნა 2012 წლის 03 მაისს გაცემული გარდაცვალების მოწმობის აქტი, რის გამოც მიზანშეწონილია განკარგულებაში შეტანილი იქნას ცვლილება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე